საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/24

ქ. ბათუმი 02 აპრილი, 2020 წ.

„ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების, კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანების, ,ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანების, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილებისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციების (MES 520 00322223, 31.03. 2020) და ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის N01-02/39 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ:

ა) პირველი პუნქტის „თ“, „ი”, „კ“, „ლ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2020 წლის 10 თებერვალს და დასრულდეს 6 ივნისს;

ი) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 08 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით;

კ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 29 ივნისიდან 04 ივლისის ჩათვლით;

ლ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2020 წლის 06 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით;

მ) 2019-2020 სასწავლო წელს მეცადინეობები ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება);

ნ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.“;

ბ) წინამდებარე დადგენილების „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (დანართი 1) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული ახალი რედაქციით;

გ) პირველი პუნქტის 1^1 პუნქტი შემდეგ დაემატოს 1^2 – 1^4 ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„1^2. ბსუ-ს ყველა უმაღლეს საგანმანთლებლო პროგრამაზე 2020 წლის 16 მარტიდან დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ფორმატში გაგრძელებული 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი წარიმართოს სწავლა-სწავლების მეთოდებში ელექტრონული კომპონენტის ჩართვის აუცილებლობიდან გამომდინარე შესაბამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ აქტივობებში (ლექცია/სემინარი/ჯგუფში მუშაობა და სხვა) და შეფასების ფორმებში საჭირო ცვლილებების განხორციელების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებები შეთანხმებული (ელექტრონული ფორმით) უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

1^3. ბსუ-ს დისტანციურ სასწავლო პროცესში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ბსუ-ს ელექტრონული პორტალი (portal.bsu.edu.ge), ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (spm.bsu.edu.ge) და სასწავლო პლატფორმა Moodle, ხოლო ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის - ონლაინ პლატფორმა Zoom.

1^4. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მტკიცდება 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომლის მიზანია ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვროს ბსუ-ში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლების სპეციფიკა.

1[5]. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტები, რომლებსაც 2020 წლის 16 მარტისათვის ჰქონდათ აქტიური სტუდენტის სტატუსი და ვერ მოახერხეს სასწავლო პროცესის ელექტრონული კომპონენტით სარგებლობა (ინტერნეტის/ელექტრონული რესურსების არქონა და სხვა), უფლებამოსილნი არიან არაუგვიანეს შუალედური გამოცდების კვირისა, წარმოადგინონ შესაბამისი განცხადება **2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტის სტატუსის შეჩერების** მოთხოვნით, რაც გულისხმობს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების გაუქმებას და შესაბამისად, მიღწეული სწავლის შედეგების განულებას (პირებს, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია/გადახდილი ჰქონდათ ან ჩარიცხული იყო მათი სწავლის საფასური (სასწავლო/სამაგისტრო/სოციალური გრანტი ან სახელმწიფო/აჭარის ა.რ. ბიუჯეტიდან დაფინანსება) აღნიშნული **გათვალისწინებული იქნეს** მათი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგი პერიოდის ადმინისტრაციული რეგისტრაციისას.“

2. **ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს დაამტკიცოს:**

ა) წინამდებარე დადგენილებით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილებაში შესული დამატებით (1[4]- ე ქვეპუნქტი) აღნიშნული **„2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ელექტრონული სწავლების განხორციელების/ადმინისტრირების წესი“**;

ბ) დისტანციური ელექტრონული სწავლების პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით **„ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი“** ბსუ-ს და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (სტუდენტთა ელექტრონული რესურსების სამსახურის) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომლებიც 2020 წლის 16 მარტიდან ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში.

3. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**